ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება №01-00/32

ქ. თბილისი 31. 12. 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" მომსახურების განმეორებით მიღების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის განმეორებით გავლის) საფასურის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის რექტორისა მოხსენებითი ბარათის (№1/2270, 31.12.2013) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე მომსახურების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის განმეორებით გავლის) განმეორებით მიღების საფასური სტუდენტს განესაზღვროს შესაბამისი სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად;
2. მომსახურების განმეორებით მიღებისას ერთი კრედიტი განფასდეს შემდეგი ფორმულით: შესაბამისი სტუდენტის სწავლის წლიური საფასური გაიყოს ერთი სასწავლო (აკადემიური) წლის განმავლობაში სტუდენტის საშუალო დატვირთვაზე - 60-კრედიტზე.
3. წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წესი გავრცელდეს მომსახურების განმეორებით მიღების მხოლოდ იმ შემთხვევებზე, რომლის საჭიროება წარმოიშვა ამ წესის ამოქმედების შემდგომ;

4. ამ წესის ამოქმედებამდე წარმოქმნილი აკადემიური დავალიანების აღმოფხვრისათვის საჭირო მომსახურების განმეორებით მიღებისას ერთი კრედიტი განფასდეს 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით;

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" საგნის განმეორებით შესწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ" უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2013 წლის 27 დეკემბრის №01-00/30 ბრძანება;

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მთავარ ბუღალტერს (ქ-ნი ნაზიკო სხულუხია), სასასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს (ბ-ნი ემილ კოპალიანი);

7. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნების მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

8. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

9. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,მეუფე + იაკობი (იაკობიშვილი)